№1757 2015 წლის 24 აგვისტო ქ. თბილისი

ა(ა)იპ – ასოციაცია ატუს ხე-ტყით უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

1. საქართველოს ტყის კოდექსის მე-5 მუხლის „ჩ“ ქვეპუნქტისა და „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კულტურული, სპორტული, სოციალური და საზოგადოებრივი დანიშნულების პროექტების დროულად და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, ა(ა)იპ – ასოციაცია ატუს ხე-ტყით უზრუნველსაყოფად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – ეროვნულმა სატყეო სააგენტომ (შემდგომში – სააგენტო) განახორციელოს რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის ამბროლაურის სატყეო უბნის ნიკორწმინდის სატყეოს №4, №13 და №20 კვარტლებში ტყეკაფების გამოყოფა 10 000 (ათი ათასი) $მ^3$ I ხარისხის (სამასალე) ხე-ტყის მისაღებად.

2. ა(ა)იპ – ასოციაცია ატუმ გამოყოფილ ტყეკაფებზე ხე-ტყის დამზადებისას მიღებული საშეშე მერქანი, ადგილობრივი მოსახლეობის

სათბობი შეშით უზრუნველყოფის მიზნით, გადასცეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტს.

3. ა(ა)იპ – ასოციაცია ატუმ, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ცხრილის შესაბამისად, უზრუნველყოს ტყის მერქნიან სახეობათა შესაბამისი ჯგუფის მე-2 და მე-4 კატეგორიებისათვის დადგენილი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის გადახდა.

4. ა(ა)იპ – ასოციაცია ატუმ უზრუნველყოს ხე-ტყის დამზადების ბილეთის გაცემისათვის სააგენტოს მომსახურების საფასურის (დღგ-ის ჩათვლით) – 1 კუბურ მეტრზე 3 (სამი) ლარის გადახდა.

5. სააგენტომ უზრუნველყოს ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მერქნულ რესურსზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**